ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 62

22 ოქტომბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ნუგზარ აფხაიძის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმების ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3; IV მ/რაიონის 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის ეროდიონ (იური) ჩოფლიანის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებული, უსახელო გასასვლელისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მძლეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის მძლეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ.ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ილია ჭავჭავაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის გია მაისაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში სამომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ ამაშუკელმა ამომწურავად ისაუბრა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე რიგი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე მოქალაქეთა მომართვების საფუძველზე მომზადებული ინიციატივები განიხილეს.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველი და მეორე საკითხების შესახებ. კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თბილისის“ თავმჯდომარის ზაზა მამალაძის წერილი, რომელსაც თან ერთვის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა (ვაჟა აზარაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე და სხვ.) შუამდომლობა, რომელიც შეეხება დედაქალაქში ტრიო „თბილისისა“ და ანსამბლ „თბილისის“ სოლისტის ნუგზარ აფხაიძისა, ასევე მომღერლისა და

კომპოზიტორის ავთანდალის შარვაძის სახელობის ქუჩების დაარსებას. კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ აღნიშნული სახელდებები.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხი შეეხება კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭებას. კომისიაში შემოსულია აღნიშნულის ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება. გიორგი გურამიშვილი იყო ქართველი არტილერისტი, ერეკლე II -ის არმიის მაიორი, კრწანისის ბრძოლის დროს ხელმძღვანელობდა მეზარბაზნეთა რაზმს. დაიღუპა ბრძოლის ველზე. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ სახელდებას.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიას გააცნო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის წერილი, რომელიც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწეების ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული ინიციატივა და მიზანშეწონილად ჩათვალა, ისნის რაიონში წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ძმები ყურაშვილების სახელი.

მეექვსე საკითხის შეეხება გლდანის რაიონში პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მოჭიდავე ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭებას, აღნიშნული ინიციატივით კომისიას მომართა მოქალაქე გაბრიელ ბარჯაძემ. კომისიამ მოიწონა აღნიშნული სახელდება და დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი, რომელიც შეეხება ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭებას. აღნიშნული ინიციატივით კომისიას მომართა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როლანდ კოპალიანმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ხონელიძემ. წერილში საუბარი იყო ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლზე. პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იყო ქართული უნივერსიტეტის

ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, გამოქვეყნებული ჰქონდა 330-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

მერვე საკითხი შეეხება მოქალაქე ბადრი ჯინჭარაძის ინიციატივას, რათა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ბიოლოგის, მეცნიერისა და მკვლევარის აპოლონ ჯინჭრაძის სახელის მინიჭებას. მან აღმოაჩინა და დაამუშავა გენეტიკური დაქტილოსკოპიის მეთოდი, ე. წ. „დნმ ის ტესტი". კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას აპოლონ ჭინჭარაძის სახელი მიენიჭოს.

კომისიას სხდომის თავმჯომარემ განსახილველად წარუდგინა სამგორის რაიონში ვარკეთილი 3 მდებარე უსახელო სკვერისთვის ირიდიონ(იური) ჩოფლიანის სახელის მინიჭების საკითხი, მიმდებარე კორპუსის მაცხოვრებლების ინიციატივას კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ასევე ნაძალადევის რაიონში ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გია მაისაშვილის სახელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას ინიციატივით მომართა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ, პროფესორმა ნინო ნიშნიანიაძემ და გფრ სრულუფლებიანმა დესპანმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია კვლავაც აგრძელებს უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების სახელის მინიჭებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭება ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გიორგი ჯოჯუას სახელი. კომისიის წევრებმა აღნიშნულ ინიციატივას დადებითი რეკომენდაცია გაუწის.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გაცნო დედაქალაქში მდებარე ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების სახელდებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მოსაზრებები და თხოვნები.

კომისიაში შემოსულია მოქალაქე ალექსი გაგოშიძის განცხადება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განიხილეს ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელდების საკითხი.

ასევე ვაკის რაიონში განხორციელდება მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ტერიტორიისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების საკითხი. კომისიას სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით მომართეს მერაბ კოსტავას #36 ის მაცხოვრებლებმა და ითხოვეს დამისამართების პრობლემის გადაწყვეტა.

ასევე კომისიას მომართა ხათუნა შაქარაშვილმა და ითხოვა ვაკის რაიონში მძლეთის ქუჩის გაგრძელება, რადგან აღნიშნული ქუჩის მონაკვეთი დაიტვირთა სერვიტუტით, ქუჩის ნაწილი რჩებოდა სახელდების გარეშე.

მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქე ანზორ კიკორიას განცხადება, რომელიც ითხოვდა დამისამართებას გლდანის რაიონში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს ავეტიკ ისააკიანის უსახელო ჩიხისთვის ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ილია ჭავჭავაძის II ჩიხის სახელის მინიჭების საკითხი, რომლითაც დაკმაყოფილდება მოქალაქე ალიკული მამედოვის დამისამართების პრობლემა.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა ივერთუბანში ანასტასია თუმანისვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ, რომელსაც მოითხოვდა მოქალაქე იოსებ ჯაფარიძე.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები დადებითად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი